სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ პროფესორის სამსახურში მისაღებად **რექტორის 2017 წლის 30 მაისის ბრძანების** №:103/01-01 საფუძველზე **ქიმიის დეპარტამენტის, მაკრომოლეკულების ქიმიის კათედრაზე** გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს **2017 წლის 7 ივნისის №65/2017** დადგენილების 5 პუნქტის საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

შემაჯამებელი ოქმი N1

ქ. თბილისი 21 ივლისი, 2017 წელი.
15:00

სხდომას კომისიის 5 წევრიდან ესწრებოდა 5-ვე წევრი: 1. შოთა სამსონია - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე); 2. ომარ მუკბანიანი - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი (თავმჯდომარის მოადგილე); 3. ნელი სიდამონიძე –თსუ-ს ზუსტ და საბუნების-მეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის მდივანი); 4. გიორგი ბეზარაშვილი – თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი; 5. ქრისტინა გიორგაძე –- თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი.

დღის წესრიგი:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის **ქიმიის დეპარტამენტის, მაკრომოლეკულების ქიმიის კათედრაზე** ასისტენტ პროფესორის ვაკანსიაზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების შედეგების შეჯამება.

2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის პროფესორ შოთა სამსონიას ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ ორივე ეტაპის შედეგების განხილვის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების და კონკურსის შედეგების შეჯამების შესახებ. მან აღნიშნა, რომ კონკურსანტმა **მარინა ქარჩხაძემ** I კატეგორიაში „ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან" მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს". II კატეგორიაში „პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან" - წარმოდგენილი 5 საბაკალავრო და 3 სამაგისტრეო კურსი არის მაკრომოლეკულების ქიმიის კათედრის სასწავლო გეგმაში და ამჟამად მას აქვს ამ საგნებში დატვირთვა. წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს. III კატეგორიაში: სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობა, მის მიერ წარმოდგენილია ბოლო 6 წელიწადში შესრულებული იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში დაბეჭდილი 3 სტატია (მე-4 გადაცემულია დასაბეჭდად) და რამდენიმე სხვა სტატია გამოქვეყნებულია მაღალრეიტინგულ ჟურნალებში. აქვს ციტირების ინდექსი: H - 6, g – 10. მონაწილეობა აქვს მიღებული საერთაშორისო კონფერენციებში - 17. ასევე 2013-1016 წლებში მონაწილეობდა საგრანტო პროექტში. მის მიერ წარმოდგენილი სამოტივაციო წერილი სრულად შეესაბამება ვაკანსიის პროფილს, კარგად ასახავს პრეტენდენტის პოტენციალს. საერთო შეფასება III კატეგორიის ორივე ნაწილში არის მაღალი. IV კატეგორიაში - სხვა სახის აქტივობა: არის ქიმიის დეპარტამენტის სტუდენტთა სამეცნიერო წრის თავმჯდომარე, მაფისტრატურაში მისაღები სააპელაციო კომისიის წევრი, ფაკულტეტის სამივლინებო კომისიის წევრი, ფლობს კომპიუტერს, სარგებლობს ინტერნეტით.

გარდა ამისა, გასაუბრების შედეგების მიხედვით აგრეთვე დადასტურდა, რომ პრეტენდენტის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია ქიმიის დეპარტამენტზე, კათედრა: „მაკრომოლეკულების ქიმია" არსებულ ასისტენტ პროფესორის ვაკანსიასთან.

დაადგინეს:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის **ქიმიის დეპარტამენტის, მაკრომოლეკულების ქიმიის კათედრაზე** ასისტენტ პროფესორის ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულებად გამოვლინდა შემდეგი კანდიდატი:

დეპარტამენტი – ქიმია
კათედრა- მაკრომოლეკულების ქიმია
მარინა ქარჩხაძე – ასისტენტ პროფესორი;

2. კომისიამ იმსჯელა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ №118/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესის შესახებ და ერთხმად დაადგინა, რომ შემაჯამებელი ოქმი დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

კომისიის თავმჯდომარე:		/ შ. სამსონია /
კომისიის მდივანი:		/ ნ. სიდამონიძე /
კომისიის წევრები:		/ ო. მუკბანიანი /
		/გიორგი ბეზარაშვილი/
		/ქრისტინე გიორგაძე/